

პირის ღრუს ქირურგია და იმპლანტოლოგია

ლექციები:

1. "პირის ღრუს ქირურგია", მისი საგანი და ამოცანები. გაუტკივარება "პირის ღრუს ქირურგიაში" – 1 სთ.
2. ზოგადი გაუტკივარება, მისი სახეები და გამოყენების ჩვენებები სტომატოლოგიურ ამბულატორიაში. მოსალოდნელი გართულებები ზოგადი გაუტკივარების დროს. მათი პროფილაქტიკა და მკურნალობა - 1 სთ.
3. ადგილობრივი გაუტკივარება "პირის ღრუს ქირურგიაში", მისი სახეები და გამოყენების ჩვენებები. ადგილობრივი გაუტკივარებისთვის გამოყენებული საანესთეზიო საშუალებების ზოგადი და შედარებითი დახასიათება. ინფილტრაციული გაუტკივარება, მისი სახეები, ჩვენებები და შესრულების ტექნიკა ზედა და ქვედა ყბაზე - 1 სთ.
4. გამტარებლობითი გაუტკივარება, მისი სახეები, ჩვენებები და შესრულების ტექნიკა ზედა და ქვედა ყბაზე. სამწვერა ნერვის ტოტების ბაზალური გაუტკივარების მეთოდები, ჩვენებები, შესრულების ტექნიკა. ადგილობრივი გაუტკივარების ზოგადი და ადგილობრივი ხასიათის გართულებები, მათი პროფილაქტიკა და მკურნალობა - 1 სთ.
5. კბილის ექსტრაქციის ოპერაცია, ჩვენებები, წინააღმდეგჩვენებები, ძირითადი და დამხმარე ინსტრუმენტები, ექსტრაქციის მომენტები – 1 სთ.
6. კბილებისა და ფესვების ექსტრაქციის ტექნიკა ზედა და ქვედა ყბაზე. ზოგადი და ადგილობრივი ხასიათის გართულებები კბილების ექსტრაქციის დროს და მის შემდგომ პერიოდში, პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა - 1 სთ.
7. კბილების რთული ექსტრაქცია, ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. ოპერაციული ჩარევის სახეები კბილების რთული ექსტრაქციის დროს. ზოგადი და ადგილობრივი გართულებები კბილების ექსტრაქციის დროს და მის შემდგომ პერიოდში, პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, მკურნალობა – 1 სთ.

კურაციები:

1. "პირის ღრუს ქირურგია", როგორც "ქირურგიული სტომატოლოგიის" მიმართულება და შემადგენელი ნაწილი, მისი საგანი და ამოცანები. სტომატოლოგიური ამბულატორიის (პოლიკლინიკის) ქირურგიული განყოფილების აღჭურვა და მუშაობის ორგანიზაცია. ავადმყოფის გამოკვლევა სტომატოლოგიური ამბულატორიის ქირურგიულ განყოფილებაში - 4 სთ.
2. გაუტკივარება "პირის ღრუს ქირურგიაში". ზოგადი გაუტკივარება, მისი სახეები და გამოყენების ჩვენებები ამბულატორიულ პრაქტიკაში. გართულებები ზოგადი გაუტკივარების დროს, მათი პროფილაქტიკა და მკურნალობა - 4 სთ.
3. ადგილობრივი ანესთეზიისთვის გამოყენებული მედიკამენტები, მათი ზოგადი და შედარებითი დახასიათება. ადგილობრივი საანესთეზიო საშუალებების

მაპროლონგირებელი მედიკამენტები, მათი გამოყენების ჩვენებები და წინააღმდეგჩვენებები - 4 სთ.

4. ადგილობრივი გაუტივარება "პირის ღრუს ქირურგიაში". ინექციური და არაინექციური გაუტივარების მეთოდები. ინფილტრაციული გაუტივარება, მისი ჩვენებები, სახეები და შესრულების ტექნიკა ზედა და ქვედა ყბაზე - 4 სთ.

5. რეგიონული გაუტივარების მეთოდები ზედა ყბაზე ოპერაციული ჩარევების დროს, ჩვენებები, შესრულების ტექნიკა - 4 სთ.

6. რეგიონული გაუტივარების მეთოდები ქვედა ყბაზე ოპერაციული ჩარევების დროს, ჩვენებები, შესრულების ტექნიკა - 4 სთ.

7. სამწვერა ნერვის ტოტების ბაზალური გაუტივარების მეთოდები, ჩვენებები, შესრულების ტექნიკა – 4 სთ.

8. ადგილობრივი გაუტივარების ზოგადი და ადგილობრივი ხასიათის გართულებები, მათი პროფილაქტიკა და მკურნალობა - 4 სთ.

9. კბილის ამოღების ოპერაცია, ჩვენებები, წინააღმდეგჩვენებები. კბილებისა და ფესვების ამოსაღებად მოწოდებული ძირითადი და დამხმარე ინსტრუმენტები. ექსტრაქციის მომენტები - 4 სთ.

10. კბილებისა და ფესვების ამოღების ტექნიკა ზედა და ქვედა ყბაზე. ავადმყოფისა და ექიმის პოზიციები სხვადასხვა ჯგუფის კბილების ამოღების დროს - 4 სთ.

11. კბილების რთული ექსტრაქცია, ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. ოპერაციული ჩარევის სახეები კბილების რთული ექსტრაქციის დროს – 4 სთ. 12. ზოგადი და ადგილობრივი ხასიათის გართულებები კბილის ექსტრაქციის ოპერაციის დროს და მის შემდგომ პერიოდში, მათი დიაგნოსტიკა და მკურნალობა. პრაქტიკული ღონისძიებები ამ გართულებების თავიდან ასაცილებლად - 4 სთ.